"საარბიტრაჟო შეთანხმების მოწესრიგება ვენის ნასყიდობის კონვენციის (CISG) მიხედვით"

მართა ბოკუჩავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შესაბამის) ფაკულტეტზე (შესაბამისი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კერძო (ბიზნეს) სამართალი

ხელმძღვანელი: ამირან მეშველიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

„როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.“

მართა ბოკუჩავა

სარჩევი

აბსტრაქტი 2

Abstract 3

შესავალი ნაწილი 4

თავი I - ვენის ნასყიდობის კონვენცია როგორც მატერიალური სამართალის ნაწილი 7

1. **ვენის ნასყიდობის კონვენციის სავალდებულოდ გავრცელების წესი** 9
2. **ვენის ნასყიდობის კონვენციის გავრცელების არეალი** 12

თავი II - საარბიტრაჟო შეთანხმების ცნება, მისი ფორმალური და სუბსტანციური ვალიდურობა 14

1. **საარბიტრაჟო შეთანხმების ავტონომიურობის, Separebility პრინციპის განმარტება** 15
2. **საარბიტრაჟო ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებული თეორიები** 17
3. **საარბიტრაჟო ხელშეკრულების ფორმალური ვალიდურობის ცნება და მახასიათებლები** 20
4. **საარბიტრაჟო ხელშეკრულების სუბსტანციური ვალიდურობა** 25
5. **საარბიტრაჟო ხელშეკრულების ფორმირების პროცესი და წესები** 28
6. **მხარის თანხმობა საარბიტრაჟო ხელშეკრულებაზე** 30
7. **მხარეთა მიერ გამოხატული თანხმობის ნაკლოვანების მაგალითები** 32

თავი III CISG-ის გავრცელება საარბიტრაჟო შეთანხმების ფორმირებაზე 33

1. **საარბირტრაჟო ხელშეკრულების ინკორპორაცია CISG-ის თანახმად** 46

დასკვნა 50

გამოყენებული ლიტერატურა 53

აბსტრაქტი

მე-20 საუკუნეში საერთაშორისო კორპორაციების მატებამ სხვადასხვა სახელმწიფოში არსებულ კომპანიებს შორის ვაჭრობის ზრდა გამოიწვია. შესაბამისად კი საჭირო გახდა საერთაშორისო ვაჭრობის, კერძოდ კი ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების მომწესრიგებელი ისეთი დოკუმენტის შექმნა რომელიც მიმდინარე ტრანსზაქციებსა და ურთიერთობებს მოაწესრიგგებდა. სწორედ ერთიანი, უნიფიცირებული სამართლებრივი მიდგომების ჩამოსაყალიბებლად შეიქმნა ვენის ნასყიდობის კონვენვია რომელსაც დღესდღეობით 96 ხელმომწერი სახელმწიფო ჰყავს. სწორედ აღნიშნულ ქვეყნებში განლაგებული საწარმოების მიერ ერთმანეთთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება და მოწესრიგებაა CISG-ის უმთავრესი მიზანი. კონვენციის შექმნის ერთ0ერთი უმთავრესი მიზანი საერთაშორისო ვაჭრობაში ერთგვაროვანი წესებისა და „კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვისათვის ხელსაწყოების“ ჩამოყალიბებაა. აღნიშნული დანაწესის მისაღწევად კი აუცილებელია მის ყველა წევრ სახელმწიფოში განლაგებულ ბიზნეს სუბიექტებს შორის დადებული ხელშეკრულებები სავალდებულო წესით სწორედ CISG-ით წესრიგდებოდეს. აღნიშნული რეალობაში სრულყოფად კონვენციის მე-6 მუხლის მეშვეობით იქცევა, რომელიც ცალსახად ამბობს რომ კონვენცია გავრცელდება ყველა საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე თუ მხარეებმა შეთანხმებით არ გამორიცხეს მისი საკუთარ ბიზნეს ურთიერთობაზე გავრცელება. საერთაშორისო ბიზნეს სამართლის კიდევ ერთ უმნიშვენლოვანეს ელემენტს საარბიტრაჟო შეთანხმებები და ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავების არბიტრაჟის მეშვეობით გადაწყვეტა წარმოადგენს. მიუხედავად იმისა რომ შესაძლოა საარბიტრაჟო შეთანხმება ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ კონკრეტულ მუხლში იყოს განთავსებული, გამომდინარე მისი სპეციფიური, პროცესუალური ბუნებისა, იგი ძირითადი ხელშეკრულებისგან გამოყოფადია, შესაძლებელია მას საკუთარი მომწესრიგებელი, სწორედ ნასყიდობის კონტრაქტისგან განსხვავებული სამართალი გააჩნდეს და ამასთანავე არბიტრაჟში დამკვიდრებული ავტონომიურობის პრინციპის საფუძველზე, ხელშეკრულების ბათილობისასაც კი ვალიდურობას ინარჩუნებდეს. მიუხედავად იმისა რომ საარბიტრაჟო შეთანხმება მათლაც გახლავთ პროცედუალური

შედეგების მქონე კერძო სამართლებრივი ხელშეკრულება მას მაინც გააჩნია მატერიალური ბუნება, როგორიცაა მისი ფორმირება, ინკორპორაცია და სხვა. წინამდებარე ნაშრომის კვლევის მიზანს სწორედ მის მატერიალურ შემადგენლობაზე გავრცელებული სამართლის დადგენა წარმოადგენს. რა ხდება მაშინ როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებაზე CISG ვრცელდება, ხოლო საარბიტრაჟო შეთანხმების სამართლად მხარეებმა კონვენციის არა ხელმომწერი ქვეყანა და მისი კანონმდებლობა აირჩიეს? ან რომელი სამართლით უნდა დარეგულირდეს საარბიტრაჟო შეთანხმება თუნდაც მაშინ როდესაც მასზე კონვენციის ხელმომწერი ქვეყნის კანონდებლობა ვრცელდება? დასაშვებია თუ არა საარბიტრაჟო ხელშეკრულებაზე ერთი შეხედვით მატერიალური სამართლებრივი კონვენციის, CISG-ის გავრცელება? რა პრობლემები შეიძლება წარმოშვას საარბიტრაჟო შეთანხმებისა და ნასყიდობის კონტრაქტის განსხვავებული სამართლით დარეგულირებამ? წინამდებარე ნაშრომი სწორედ დასახელებული შემთხვევების მიმოხილვას და მასზე პასუხის გაცემას ემსახურება.

Abstract

Together with globalization process and increasing amount of international corporations creating document unifying rules regarding international sales was necessary. That was the main motive of creating Convention of International Sale of Goods, which nowadays has 96 signatory countries. Sale between the companies located in CISG's contracting states should be governed according to Convention's rules. CISG's mandatory application, defined in its Article 6, was the only way to ensure promotion of uniformity of sale law throughout all the member states. Arbitration is another important part of international sales as the latter usually chosen for resolving disputes arising out of contract. Arbitration agreement is considered as procedural agreement and might be subject to its own law as well. It should be noted that just like usual private law contract the latter consists of parts defining substantive matters of the relationship, such as formation of the contract, its incorporation, parties acceptance to arbitrate and etc. Even though according to well known separability principle, arbitration agreement might be considered as independent, agreement, underlying thesis will try to prove that arbitration clause might be separable and not fully separate. Interesting question is, what kind of law should define

substantive issues of the arbitration agreement. What happen when law applicable to main contract is CISG and law applicable to arbitration agreement is non contracting state of the CISG? Which law should define substantive matters of the agreement? In other case scenario, what happen when law applicable to main contact is CISG and arbitration seat is located in the contracting state as well? Could CISG govern substantive matters, mainly formation of arbitration agreement? Those are the question underlying thesis will try to answer.

შესავალი ნაწილი

პირველრიგში უნდა აღინიშნოს რომ ისეთ საერთაშორისო ბიზნეს გარიგებებში რომელშიც მხარეები არბიტრაჟს დავის გადაწყვეტის მთავარ მეთოდად ირჩევენ საარბიტრაჟო შეთანხმების რეგულირების, განსხვავებული მიდომები და შეხედულებები არსებობს. აღნიშნული განსხვავებები ცალსახად შესამჩნევია საარბიტრაჟო შეთანხმებაზე გავრცელებული სამართლის დადგენისა და მისი ფორმირების დეტალებთან მიმართებით. სხვადასხვა სახელმწოფოში და სამართლებრივ სისტემაში მიღებული არაერთგვაროვანი მიდგომები წარმოშობს კონფლიქტურ სიტუაციებს რომელიც საბოლოოდ საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობების შეფერხებას იწვევს. მართალია საარბიტრაჟო შეთანხმება თავისი ბუნებიდან გამომდინარე შესაძლოა ძირითადი ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელ გარიგებად მივიჩნიოთ და მასზე გავრცელებული განსხვავებული სამართლის წესებით დავარეგულიროთ, თუმცა ზემოთ დასახელებული პრობლემები სახეზე მაშინ გვაქვს როდესაც 1. მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების მომწესრიგებელ სამართალს წინასწარ არ განსაზღვრავენ, 2. სააბირტრაჟო შეთანხმებას ფაქტობრივად ძირითად ხელშეკრულებაში ათავსებენ, მის ერთ-ერთ მუხლად აყალიბებენ, თუმცა მისგან დამოუკიდებლად, განსხვავებული სამართლით აწესრიგებენ. იმ სამართლის განსაზღვრა რომელიც საარბიტრაჟო შეთანხმებას მოაწესრიგებს განსხვავებული მიდგომების გამო რთულია და სასამართლო პრაქტიკის არაერთგაროვანებას წარმოშობს.